# ტვინების ბრძოლა
## საქალაქო ჩემპიონატი | გაზაფხული 2025
## U12 (IX, X, XI, XII კლასები)

**13 აპრილი**

1. 5-ქულიანი შეკითხვა
პლანეტა, სახელად გლიზე 436 ბ უჩვეულო კლიმატური პირობებით გამოირჩევა: პლანეტა დაფარულია ყინულით, რომელსაც უკიდია ცეცხლი. აღნიშნული ფაქტის კომენტირებისას ახსენეს 1948 წელს დაბადებული მწერლის ნაწარმოებების სერია. დაასახელეთ ეს მწერალი.

პასუხი: ჯორჯ მარტინი
კომენტარი: პლანეტის უჩვეულო კლიმატის შესახებ საუბრისას ინტერნეტმომხმარებელმა ახსენა ნაწარმოებების სერია "ყინულისა და ცეცხლის სიმღერა", რომლის ავტორიც ჯ. რ. რ. მარტინია.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
იქსით შეცვლილია მამაკაცის სახელი.
სერიალში "ალესილი კეპები" სოციალისტური იდეოლოგიის მომხრე პერსონაჟი შვილს დაარქმევს იქსს. სხვა იქსი 1818 წელს დაიბადა პრუსიაში. დაწერეთ ამ იქსის გვარი ექვსი ასოს გამოყენებით.

პასუხი: მარქსი
კომენტარი: გასაკვირი არაა, რომ სოციალისტური იდეოლოგიის მიმდევარმა პერსონაჟმა ბავშვს კარლი დაარქვა კარლ მარქსის პატივსაცემად.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი წყაროს თანახმად, ცნობილ ფრანგულ ნაწარმოებში, სახელად "ასეთები", ერთ-ერთი წინადადება 823 სიტყვისგან შედგება. ერთ ლიტერატურულ ბლოგზე აღნიშნეს, რომ ასეთები არიან თავად ამ წიგნის დაღლილი მკითხველები. დაწერეთ სიტყვა, რომელიც შევცვალეთ სიტყვით "ასეთები".

პასუხი: საბრალონი
კომენტარი: ჰიუგოს "საბრალონი" ვრცელი წინადადებებით გამოირჩევა და ხშირად მიყოლებით რამდენიმე გვერდზე დიალოგი არ გვხვდება. ბლოგზე იხუმრეს, რომ საბრალონი არიან თავად მკითხველები, რომლებიც გრძელი წინადადებებით იღლებიან.

4. 5-ქულიანი შეკითხვა
ხელოვნური ინტელექტის სისტემა "DeepSeek" [დიპსიკი] ხშირ შემთხვევაში თავს არიდებს შეკითხვებს ტაივანისა და 1989 წლის ტიანანმენის მოედნის მოვლენების შესახებ. გამომცემლობა "გარდიანის" სტატიაში აღნიშნულია, რომ DeepSeek არის გაუგებარი. დაწერეთ ექვსასოიანი სიტყვა, რომელიც შევცვალეთ სიტყვით "გაუგებარი".

პასუხი: ჩინური
კომენტარი: დიპსიკი ჩინური სისტემაა და ხშირად თავს არიდებს ჩინეთის უახლეს ისტორიაში არსებული საკამათო ეპიზოდების განხილვას. სიტყვა "ჩინური" შეცვლილი იყო სიტყვით

“გაუგებარი”. ჩანაცვლება ეფუძნებოდა პოპულარულ ფრაზას სალაპარაკო ენაში, რომლის მიხედვითაც გაუგებარი მოცემულობების შესახებ ამბობენ: “ეს ჩემთვის ჩინურია”.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
[ეს შეკითხვა არის დუპლეტი. ჯერ გაჟღერდება ერთი შეკითხვა და მოსაფიქრებლად ჩაირთვება 45 წამი; შემდეგ გაჟღერდება მეორე შეკითხვა და მოსაფიქრებლად ჩაირთვება კიდევ 45 წამი. გუნდი ორივე პასუხს წერს ერთსა და იმავე ფურცელზე. გუნდი ქულებს მიიღებს მხოლოდ ორივე სწორი პასუხის შემთხვევაში.]

1) იქსები თავიანთი პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ხშირად სიმაღლეში იზრდებიან განსხვავებული გრავიტაციული პირობების გამო. დაასახელეთ იქსით შეცვლილი ათასოიანი სიტყვა.

2) იგრეკის ისტორია ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით დაახლოებით 1000 წელს იწყება, როდესაც შორეულ ციურ სხეულებს და მათ გადაადგილებას მითოლოგიურ ღმერთებთან აკავშირებდნენ. ათასოიანი სიტყვით დაასახელეთ მეცნიერება, რომელიც შევცვალეთ იგრეკით.

პასუხი: ასტრონავტი; ასტრონომია
კომენტარი: კოსმოსში ყოფნისას ასტრონავტების ძვლები ხშირად ერთმანეთს სტანდარტულზე მეტად შორდება და ისინი სიმაღლეში იზრდებიან. იქსით შეცვლილი იყო ასტრონავტი. ასტრონომიის ისტორია ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვიდან იწყება, როდესაც პლანეტების გადაადგილებას რელიგიურ-მითოლოგიურ ახსნას უძებნიდნენ. იგრეკით შეცვლილი იყო ასტრონომია.

6. 7-ქულიანი შეკითხვა
“პირველით” და “მეორით” შეცვლილია თითო-თითო სიტყვა.
მიმდევრობის მიუხედავად, მეორე გაცილებით ცხელია, ვიდრე პირველი. მიზეზი ნახშირორჟანგის მაღალი კონცენტრაციაა, რის გამოც მეორეზე ტემპერატურა 462 გრადუსს აღწევს ცელსიუსით. დაასახელეთ პირველიც და მეორეც.

პასუხი: მერკური; ვენერა
კომენტარი: ამ შეკითხვით გავაგრძელეთ კოსმოსის თემატიკა. აღმოჩნდა, რომ ვენერა გაცილებით ცხელი პლანეტაა, ვიდრე მერკური, იმის მიუხედავად, რომ მზისგან ყველაზე ახლო პლანეტა მერკურია, ვენერა კი მხოლოდ მეორეა დაშორების მიხედვით.

7. 5-ქულიანი შეკითხვა
ჯერომ სელინჯერის წიგნში, რომლის მოქმედებაც ნიუ-იორკში ხდება, პროტაგონისტი ამბობს, რომ მოუქნელ პარტნიორთან ცეკვა უარესია, ვიდრე იქსის თრევა დარბაზში. მარტინ სკორსეზეს წარმოშობით იტალიელი ბებია იხსენებდა, რომ ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ დანახულმა იქსმა იმედი გაუღვიძა. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: თავისუფლება მსოფლიოს განმანათლებელი
ჩათვლა: თავისუფლების ქანდაკება

კომენტარი: ნაწარმოებში, რომლის მოქმედება ნიუ-ორკში ხდება, მთავარი პერსონაჟი ამბობს, რომ უმჯობესია თავისუფლების ქანდაკება ათრიო დარბაზში, ვიდრე ეცეკვო მოუქნელ პარტნიორს. გასულ საუკუნეში ამერიკაში უამრავი იტალიელი გადავიდა საცხოვრებლად, რომელთა შორის ცნობილი რეჟისორის ბებიაც იყო. მისი თქმით თავისუფლების ქანდაკებამ და მის ხელში აღმართულმა ჩირაღდანმა იგი იმედით გაავსო.

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]

ამაზონის ტყეში გაიჩეხა ტყის მოზრდილი მასივი, რათა ამ ტერიტორიაზე გზები გაეყვანათ. ამ ადგილას გზების გაყვანა დასჭირდათ მოახლოებული საერთაშორისო სამიტის ჩასატარებლად. ირონიულია, რომ ამ სამიტის განსახილველი საკითხი იყო...
დაასრულეთ წინადადება აზრობრივად ზუსტად.

პასუხი: გარემოს დაცვა
ჩათვლა: აზრობრივად სწორი პასუხები
კომენტარი: ირონიულია, რომ გარემოს დაცვითი სამიტის ჩასატარებლად ტყის უზარმაზარი მასივი გაჩეხეს.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
მეცნიერებისადმი მიძღვნილ ერთ ქანდაკებაზე გამოსახულია თაგვი, რომელიც ქსოვს იქსს. საინტერესოა, რომ ადამიანების იქსის 99% ყველასთვის იდენტურია და მხოლოდ დანარჩენია განსხვავებული. დაასახელეთ იქსი სამი ასოს გამოყენებით.

პასუხი: დნმ
კომენტარი: ქანდაკებაზე გამოსახულია ლაბორატორიის თაგვი, რომელიც ქსოვს დნმ-ის ჯაჭვს და ადამიანებს ეხმარება კვლევაში. აღმოჩნდა, რომ დნმ-ზე არსებული ინფორმაციის 99% იდენტურია ყველა ადამიანის შემთხვევაში.

10. 5-ქულიანი ეკითხვა
ტაილანდში არსებული პროტოკოლის მიხედვით, გარეშე პირებს ეკრძალებათ სამეფო ოჯახის წევრთან შეხება. ამ ფაქტის შესახებ მოგონილი ერთი პოპულარული ისტორიის მიხედვით, ტაილანდის დედოფალი სუნანდას გემმა წონასწორობა დაკარგა და დედოფალი [გამოტოვებულია ერთი სიტყვა]. გიოქსუს მდინარის გადალახვისას ფრიდრიხ პირველი ბარბაროსა მართლაც [გამოტოვებულია ერთი სიტყვა]. დაწერეთ გამოტოვებული სიტყვა.

პასუხი: დაიხრჩო
კომენტარი: რადგან უცხო პირებს დედოფალთან მიკარება ეკრძალებათ, პოპულარულია გადმოცემა, თითქოს დედოფლის გემმა წონასწორობა დაკარგა და წყალში ჩავარდნილ დედოფალს არავინ დაეხმარა ნაპირზე გამოსვლაში. ფრიდრიხ ბარბაროსა კი მართლა დაიხრჩო მდინარის გადალახვისას, როცა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიიჩქაროდა.

11. 6-ქულიანი შეკითხვა

უცნაურია, მაგრამ იქსი არის მსოფლიოში ასაფეთქებლების მეორე უდიდესი შემსყიდველი აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის შემდეგ. ფლობს რა პიქსარს, ლუკასფილმსა და სხვა მსხვილ კომპანიებს, იქსი თავის სფეროში ერთ-ერთი უმდიდრესი კომპანიაა. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: დისნეი
კომენტარი: უცნაურია, მაგრამ დისნეი თავდაცვის დეპარტამენტის შემდეგ ყველაზე მეტ ასაფეთქებელს ყიდულობს, რომლებსაც გადაღების პროცესში იყენებენ. დისნეი ფლობს მრავალ სტუდიასა და კომპანიას Entertainment-ის სფეროში, მათ შორისაა პიქსარი, ლუკასფილმი, მარველი და სხვა.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
კრიტიკოსების აზრით, ერთ ამერიკულ ნაწარმოებში იქსი ერთი მხრივ პროტაგონისტის მეამბოხე ხასიათს უსვამს ხაზს, ხოლო მეორე მხრივ იცავს მას გარესამყაროსგან. აშშ-ში იქსები პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს და მათზე შეგვიძლია დავინახოთ ორი რიცხვი: 45 და 47. დაწერეთ იქსი ორი სიტყვით.

პასუხი: წითელი ქუდი
კომენტარი: კითხვაში საუბარია წიგნზე “თამაში ჭვავის ყანაში”, რომლის პროტაგონისტს - ჰოლდენს წითელი სანადირო ქუდი ახურავს. წითელი ქუდები 2016 წლიდან დონალდ ტრამპის მხარდამჭერებს ახურავთ წარწერით make America great again, ხოლო 45 და 47 მის საპრეზიდენტო ნომრებს ასახავს.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი ვერსიით, ამ პერსონაჟს ულვაში დაუმატეს იმის გამო, რომ პიქსელებში მისი პირი საკმარისად გარკვევით არ ჩანდა. ეს პერსონაჟი პირველად გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში გამოჩნდა. დაწერეთ ამ პერსონაჟის ხუთასოიანი სახელი.

პასუხი: მარიო
კომენტარი: პიქსელების ხსენება მინიშნება იყო იმ ფაქტზე, რომ პერსონაჟი ვიდეოთამაშიდანაა. საინტერესოა, რომ ულვაშით განთქმულ მარიოს ულვაში მხოლოდ იმის გამო დაუმატეს, რომ ძველი გრაფიკა მის პირს გარკვევით ვერ აჩენდა ეკრანზე.

14. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

the front of the platform and spoke as follows:

THE PRESIDENT'S SPEECH.

FELLOW-CITIZENS: I believe there is no precedent for my appearing before you on this occasion, [applause] but it is also true that there is no precedent for your being here yourselves, (applause and laughter;) and I offer, in justification of myself and of you, that, upon examination, I have found nothing in the Constitution against. [Renewed applause.] I, however, have an impression that there are younger gentlemen

ერთ სტატიაში გამოთქვეს მოსაზრება, რომ აბრაამ ლინკოლნის გამოსვლისადმი მიძღვნილ ამ ტექსტში გვხვდება ისტორიაში პირველი იქსი. სინამდვილეში პირველი იქსი დახატა გრაფიკულმა დიზაინერმა ჰარვი ბოლმა 1963 წელს. დაწერეთ ან გამოსახეთ იქსი.

პასუხი: : )
ჩათვლა: სმაილი, ემოჯი, ღიმილაკი, აზრობრივად სწორი პასუხები
კომენტარი: სიტყვებთან "აპლოდისმენტები და სიცილი" გვხვდება ორწერტილი და ფრჩხილი, რაც სტატიის ავტორმა პირველ სმაილიკად აღიქვა.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
მარსმავალი "Curiosity" 2011 წლიდან მარტო უძღვება მარსის დათვალიერების ოპერაციას. საინტერესოა, რომ ყოველი წლის 5 აგვისტოს Curiosity უკრავს იქსს. დაასახელეთ იქსი აზრობრივად ზუსტად.

პასუხი: Happy Birthday Song
ჩათვლა: აზრობრივად
კომენტარი: მარსმავალი მარტოა მარსზე, ამიტომ თავის თავს დაბადების დღის სიმღერას "ურთავს" თავის დაბადების დღეზე.